პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის ჳ0-ე წელი

კვირა, 24 ივლისი, 1949 წ. № 146 (8449). ფასი 20 კაპ.

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ჩვენმა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა სწორუპოვარი გმირული ფურცლები ჩაწერა საბჭოთა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიაში.

ჩვენი მხურვალე სალამი საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის მატროსებს, ზემდეგებს, ოფიცრებსა და ადმირალებს!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ სტალინს!

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრისა

## № 71

**1949 წლის 24 ივლისი** **ქალაქი მოსკოვი**

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს და აღნიშნავენ საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებისა და გემთმშენებლების მიერ იმ ამოცანების შესრულებაში მიღწეულ წარმატებებს, რომლებიც მათ დაუსახა ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა**.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს.

ვუსურვებ საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალების მთელ პირად შემადგენლობას და გემთმშენებელი მრეწველობის მუშაკებს ახალ წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს სამხედრო-საზღვაო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად — **ვბრძანებ:**

დღეს, 24 ივლისს, ლენინგრადში, კრონშტადტში, ტალინში, ბალტიისკში, სევასტოპოლში, ოდესაში, მურმანსკში, ვაენგაში, არხანგელსკში, ვლადივოსტოკში, პორტ-არტურში, სოვეტსკაია გავანში, კამჩატკის პეტროპავლოვსკში, ბაქოში, ხაბაროვსკში, იზმაილში, პინსკში მიცემულ იქნას სამხედრო ხომალდების სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა სამშობლოს!

გაუმარჯოს სახელოვან საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!

გაუმარჯოს ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს დიდ **სტალინს!**

**სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ვასილევსკი**

# საბჭოთა ქვეყნის მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი

დღეს სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა.

ეს დღე მთელ ჩვენს ქვეყანაში აღინიშნება როგორც საყოველთაო სახალხო დღესასწაული. საბჭოთა კავშირი დიდი საზღვაო სახელმწიფოა. მისი საზღვრები სამი ოკეანისა და მრავალ ზღვათა და მდინარეთა ნაპირებზე გადის. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ინტერესები მოითხოვდა შეგვექმნა ამ საზღვრების საიმედო გუშაგი და დამცველი — მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ბოლშევიკური პარტიის, პირადად ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა შექმნა სწორედ ასეთი ფლოტი. დღევანდელ დღეს საბჭოთა ადამიანები სიამაყით აღნიშნავენ ჩვენი მშობლიური სამხედრო-საზღვაო ფლოტის უდიდეს მიღწევებს, საბჭოთა მეზღვაურების ბრწყინვალე ოსტატობას, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობასთან ერთად ფხიზლად იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას და ჩვენი სამშობლოს საზღვრებს.

ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეს, საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით, კმაყოფილებით გადახედავენ თავისი საყვარელი პირმშოს — სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიერ განვლილ გმირულ გზას. ეს იყო მამაცობისა და დიდების, ვაჟკაცური გამბედაობისა და მძაფრი ტექნიკური პროგრესის გზა, თავდადებული ბრძოლებისა და შესანიშნავ გამარჯვებათა გზა.

საბჭოთა ადამიანები კანონიერად ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა დიდმა სამშობლომ მსოფლიოს მისცა მეცნიერული აზრის უდიდესი კორიფეები, გამოჩენილი მეცნიერები და გამომგონებლები. რუსი გამოჩენილი ზღვაოსნებისა და მკვლევარების დეჟნევის, ჩელუსკინის, ლაპტევის, სედოვისა და მრავალ სხვათა სახელები კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. საბჭოთა ხალხი სათუთად ინახავს ფლოტის გამოჩენილი სარდლების უშაკოვისა და ნახიმოვის, სენიავინისა და ლაზარევის, კორნილოვისა და მაკაროვის ნათელ ხსოვნას. რუსეთის ამ სახელგანთქმულმა პატრიოტებმა ადრიდანვე მოუხვეჭეს სამშობლოს საზღვაო დიდება.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტმა თავისი ზრდისა და განვითარების შესანიშნავი გზა განვლო. ლენინი და სტალინი იყვნენ მისი შექმნის პირველი ორგანიზატორები და სულისჩამდგმელნი.

პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი მუდამ ზრუნავდნენ და ზრუნავენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერების განმტკიცებისათვის. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში შექმნილ იქნა მძლავრი გემთმშენებელი მრეწველობა. დიდი სტალინის გენია წარმართავს საბჭოთა ხომალდმშენებელ კონსტრუქტორთა შემოქმედებითს აზრს ახალი ტიპის, მსოფლიოში ყველაზე უკეთესი ხომალდების შესაქმნელად. დიდი სტალინი ზრდიდა და ზრდის საბჭოთა მეზღვაურებს სოციალისტური სამშობლოსადმი, საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებაში თავისი სერიოზული წვლილი შეიტანა მისმა სახელოვანმა შეფმა — ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა. მან ფლოტს მისცა თავისი საუკეთესო შვილები, მგზნებარე ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ჩვენი სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძლიერება და მაღალი საბრძოლო თვისება განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში. ბოლშევიკური პარტიის აღზრდილებმა, მაღალი კეთილშობილური იდეებით აღჭურვილმა საბჭოთა მეზღვაურებმა ფაშისტ დამპყრობლებთან სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლებში გამოავლინეს საბჭოთა ქვეყნის ადამიანებისათვის დამახასიათებელი მაღალი მორალური თვისება, არნახული გმირობა, ოსტატობა და გამარჯვების ურყევი რწმენა. სახელმოხვეჭილმა სამხედრო მეზღვაურებმა და საზღვაო მფრინავებმა ნ. ოსტრიაკოვმა, პ. საფონოვმა, ა. წურწუმიამ, დ. სიგოვმა, ნ. ტოკარევმა, ნ. ადამიამ, მ. გაჯიევმა, ც. კუნიკოვმა, ი. იოსელიანმა, ვ. კუზნეცოვმა, ა. კანანაძემ, ი. კოლიშკინმა, ა. გეგეშიძემ, ნ. ლუნინმა და მრავალმა სხვებმა თავიანთი თავდადებული გმირობით შესანიშნავი ფურცლები ჩაწერეს დიდი სამამულო ომის მატიანეში.

საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ბრწყინვალედ განახორციელა დაკისრებული სტალინური სტრატეგიული გეგმები: ზღვებიდან დაიცვა საბჭოთა არმიის ფლანგები, განახორციელა მტრის სავაჭრო გემებისა და სამხედრო ხომალდებისათვის დარტყმა, უზრუნველყო ჩვენი საზღვაო კომუნიკაციების შეუფერხებელი მოქმედება.

საბჭოთა სამხედრო - საზღვაო ფლოტის უძლეველმა ძალამ განსაკუთრებით იჩინა თავი გმირი ქალაქების სევასტოპოლის, ლენინგრადის, ოდესისა და სტალინგრადის დაცვაში. სახმელეთო ჯარებთან ურთიერთმოქმედებით სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდები და ნაწილები ანადგურებდნენ მტერს ბალტიკაზე და შავ ზღვაზე, ბარენცისა და აზოვის ზღვებზე, ხოლო სამდინარო ფლოტილიებმა გმირული ბრძოლებით გაიარეს დუნაი, დნეპრი, ვისლა, ოდერი, შპრეე და შეიჭრნენ ბერლინში.

დიდმა სტალინმა მაღალი შეფასება მისცა ჩვენი მეზღვაურების მოქმედებას. „...საბჭოთა მეზღვაურებმა ომის ოთხი წლის განმავლობაში ახალი ფურცლები ჩაწერეს რუსული საზღვაო დიდების წიგნში. ფლოტმა ბოლომდე შეასრულა თავისი მოვალეობა საბჭოთა სამშობლოს წინაშე“.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ უდიდესი ამოცანები დასახეს სამხედრო-საზღვაო ძალების შემდგომი მშენებლობისა და განვითარების დარგში. „საბჭოთა ხალხს სურს კიდევ უფრო ძლიერი და მძლავრი იხილოს თავისი ფლოტი. ჩვენი ხალხი ფლოტისათვის შექმნის ახალ საბრძოლო ხომალდებს და ახალ ბაზებს“ (ი. სტალინი). საყვარელი ბელადის ეს სიტყვები საბჭოთა ადამიანებმა მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა. მძლავრი სოციალისტური ინდუსტრია ჩვენს ფლოტს აღჭურავს ახალი ხომალდებითა და უფრო სრულყოფილი შეიარაღებით.

სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის, ისევე როგორც მთელი შეიარაღებული ძალებისათვის, ისტორიული მოვლენა იყო ამხანაგ სტალინის სტუმრობა შავი ზღვის ფლოტში 1947 წლის აგვისტოში. დიდი ბელადის გულთბილმა, წრფელმა საუბარმა კრეისერ „მოლოტოვის“ მეზღვაურებთან, მისმა მამობრივმა მზრუნველობამ ჩვენი ფლოტის მეომრებზე, მისმა მისალმებამ შავი ზღვის ფლოტის პირად შემადგენლობისადმი, უდიდესი აღმავლობა გამოიწვიეს ხომალდებზე და ნაწილებში. მეზღვაურებმა ამხანაგ სტალინის მიერ შავზღვაელებისადმი მიმართული სიტყვები მიიღეს, როგორც მოწოდება ახალ-ახალი წარმატებისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს საზღვაო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად. ბელადის ამ მოწოდებას ჩვენი მეზღვაურები წარმატებით ასრულებენ. ამ საპატიო ამოცანის შესრულებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხების შვილებთან ერთად, მოწინავეთა რიგებში დგანან ქართველი ხალხის შვილებიც, რომლებიც სამხედრო-საზღვაო ფლოტში იმყოფებიან. მათი ერთი ნაწილის მიღწევებზეა მოთხრობილი „კომუნისტის“ დღევანდელ ნომერში. საქართველოს მშრომელები სიამაყის გრძნობით გაეცნობიან თავის მეზღვაურ შვილთა წარმატებას საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, მათს მზადყოფნას მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მკერდით დაიცვან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო ინტერესები, საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე წელს აღინიშნება მეოთხე სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის ვითარებაში. ამ საერთო საქმეში მნიშვნელოვანია საქართველოს მშრომელთა წვლილი. ქართველი ხალხი ძალღონის დაუზოგავად იბრძვის პარტიისა და მთავრობის დავალებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის, ხუთწლედის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის, ჩვენი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად, ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეს თავის მხურვალე სიტყვებს მიმართავს ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრების გმირ დამცველებს — საბჭოთა მეზღვაურებს. ჩვენი ხალხი მტკიცედ არის დარწმუნებული, რომ სამხედრო-საზღვაო ფლოტი შემდგომშიც ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე, ფხიზლად დაიცავს ჩვენი ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას, საბჭოთა ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

გაუმარჯოს საბჭოთა სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს — დიდ სტალინს!



სსრ კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის II კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება, კაპიტალური მშენებლობა, საქონელბრუნვის გაშლა და ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება 1949 წლის II კვარტალში ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

I

### წარმოების გეგმის შესრულება მრეწველობაში

წარმოების გეგმა 1949 წლის მეორე კვარტალში მრეწველობის საერთო პროდუქციის მიხედვით სამინისტროების მიერ შესრულებულია შემდეგნაირად:

| | 1949 წლის II კვარტალის გეგმის შესრულების პროცენტი |
|---|---|
| მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრო | 109 |
| ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| ნავთის მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| ელექტროსადგურების სამინისტრო | 102 |
| ქიმიური მრეწველობის სამინისტრო | 104 |
| ელექტრომრეწველობის სამინისტრო | 107 |
| კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტრო | 103 |
| მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 109 |
| საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის სამინისტრო | 105 |
| დაზგათმშენებლობის სამინისტრო | 106 |
| მანქანათმშენებლობის და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო | 104 |
| სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 102 |
| სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 103 |
| სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო | 102 |
| სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო | 106 |
| სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტრო | 99 |
| სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო | 109 |
| სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო | 85 |
| სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო | 99 |
| სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრო | 106 |
| მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი და ადგილობრივი სათბობის მრეწველობის სამინისტროები | 105 |
| ხარეწაო კოოპერაცია | 105 |

საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენებისა და საწარმოთა შინა რესურსების მობილიზაციისათვის მთავრობის მიერ მიღებულ ზომებთან დაკავშირებით გადიდდა მრეწველობისათვის მეორე კვარტალში თავდაპირველად დადგენილი გეგმა. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციის გადიდებული გეგმა 101 პროცენტით შესრულდა. მთლიანად 1949 წლის პირველ ნახევარში წარმოების გეგმა მრეწველობის საერთო პროდუქციის დარგში აგრეთვე გადაჭარბებით შესრულდა.

1949 წლის მეორე კვარტალში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მნიშვნელოვანი რაოდენობის სამრეწველო პროდუქცია: შავი და ფერადი ლითონები, ქვანახშირი, ნავთობი, ბენზინი, ნავთი, ელექტროენერგია, სატვირთო ვაგონები, ტროლეიბუსები, ავტომობილები, ავტობუსები, ბურთობსაკისრები, ელექტრომოტორები, ლითონსაჭრელი დაზგები, საფეიქრო მანქანები, ტრაქტორები, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კალცინირებული სოდა, მინერალური სასუქი, საღებავები და სხვა ქიმიკატები, ავტოსაბურავები, ქაღალდი, ცემენტი, პატეფონები, საკერავი მანქანები, ფოტოაპარატები, საათები, ბამბის, სელის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ფეხსაცმელი, ხორცი, ძეხვის ნაწარმი, მცენარეული ზეთი, საკონდიტრო ნაწარმი, კონსერვები, ჩაი, საპონი, სპირტი, პაპიროსები, ყურძნის ღვინო, შამპანური და ბევრი სხვა სახის სამრეწველო პროდუქცია.

თუმცა მრეწველობამ მთლიანად საერთო პროდუქციის და ნატურით სამრეწველო პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეთა წარმოების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ცალკეულმა სამინისტროებმა ვერ შეასრულეს გეგმა პროდუქციის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახის მიხედვით.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტრომ ვერ შეასრულა ცალკეული სახეების ნაგლინის წარმოების კვარტალური გეგმა, ელექტრომრეწველობის სამინისტრომ — ცალკეული სახეების საკაბელო ნაწარმისა, მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ორთქლის ტურბინებისა და მეტალურგიული მოწყობილობისა, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრომ — კომპრესორებისა, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ — ტყის სარგავი მანქანებისა და ტრაქტორის სათესი მანქანებისა, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — რუბეროიდისა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

## სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1949 წლის II კვარტალის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

II

### სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა

უმნიშვნელოვანეს სახეთა სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით შეიცვალა შემდეგნაირად:

| | 1949 წლის II კვარტა-ლი პროცენტობით 1948 წლის II კვარ-ტალთან შედარებით |
|---|---|
| თუჯი | 120 |
| ფოლადი | 127 |
| ნაგლინი | 130 |
| რკინიგზის რელსები | 190 |
| რკინის მილები | 136 |
| სპილენძი | 116 |
| თუთია | 124 |
| ტყვია | 115 |
| ქვანახშირი | 113 |
| ნავთობი | 112 |
| ბენზინი | 111 |
| ნავთი | 112 |
| ელექტროენერგია | 117 |
| სამაგისტრალო ორთქლმავლები | 111 |
| სამაგისტრალო ელმავლები | 230 |
| სამაგისტრალო სატვირთო ვაგონები | 151 |
| ტროლეიბუსები | 163 |
| სატვირთო ავტომანქანები | 138 |
| მსუბუქი ავტომანქანები | 223 |
| ავტობუსები | 125 |
| ბურთობსაკისრები | 125 |
| მეტალურგიული მოწყობილობა | 123 |
| ექსკავატორები | 165 |
| ორთქლის ტურბინები | 206 |
| ელექტრომოტორები 100 კილოვატამდე | 144 |
| ელექტრომოტორები 100 კილოვატს ზევით | 134 |
| ლითონსაჭრელი დაზგები — დაზგათმშენებლობის სამინისტრო | 119 |
| სავატერო მანქანები | 149 |
| საფეიქრო დაზგები | 160 |
| ტრაქტორები | 173 |
| მარცვლეულის კომბაინები | 200 |
| ტრაქტორის გუთნები | 162 |
| ტრაქტორის სათესი მანქანები | 174 |
| ტრაქტორის კულტივატორები | 135 |
| რთული სალეწი მანქანები | 182 |
| კაუსტიკური სოდა | 128 |
| კალცინირებული სოდა | 131 |
| მინერალური სასუქი (სუპერფოსფატი, აზოტიანი და კალიუმიანი) | 132 |
| სინთეზური საღებავები | 121 |
| სინთეზური კაუჩუკი | 135 |
| ავტოსაბურავი | 144 |
| სამასალო მერქნის გამოზიდვა | 116 |
| ქაღალდი | 127 |
| ცემენტი | 131 |
| შიფერი | 136 |
| ფანჯრის მინა | 147 |
| რბილი სახურავი | 125 |
| აგური | 131 |
| სტანდარტული სახლები | 147 |
| ველოსიპედები | 148 |
| რადიომიმღებები | 206 |
| პატეფონები | 170 |
| საკერავი მანქანები | 148 |
| საათები | 199 |
| ფოტოაპარატები | 118 |
| ბამბის ქსოვილი | 116 |
| სელის ქსოვილი | 122 |
| შალის ქსოვილი | 124 |
| აბრეშუმის ქსოვილი | 134 |
| ტყავის ფეხსაცმელი | 128 |
| რეზინის ფეხსაცმელი | 127 |
| წინდის ნაწარმი | 135 |
| ხორცი | 115 |
| ძეხვის ნაწარმი | 182 |
| თევზი | 127 |
| ერბო-კარაქი | 106 |
| მცენარეული ზეთი | 147 |
| საკონდიტრო ნაწარმი | 138 |
| კონსერვები | 151 |
| ჩაი | 140 |
| საპონი | 185 |
| სპირტი | 128 |
| პაპიროსი | 120 |
| ყურძნის ღვინო | 127 |
| შამპანური | 453 |
| ლუდი | 126 |

სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა.

1949 წლის ივნისში მრეწველობის საერთო პროდუქციის სადღეღამისო გამოშვებამ 41 პროცენტით გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის საშუალო დონეს.

1949 წლის სახელმწიფო გეგმის შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში 1949 წლის პირველი ნახევრის მანძილზე გრძელდებოდა მოწინავე ტექნიკის შემდგომი დანერგვა. წარმატებით ინერგებოდა ახალი, ყველაზე სრულყოფილი სახეების მანქანები და მოწყობილობა, აგრეთვე მაღალნაყოფიერი საწარმოო პროცესები. გაწეულია მუშაობა მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე შრომატევადი პროცესების შემდგომი მექანიზაციის დარგში. გაიზარდა მექანიზაციის დონე 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით ქვანახშირის მრეწველობაში ქვანახშირის ამოღებისა და გადაზიდვის მხრივ მშენებლობაში მიწის სამუშაოთა მხრივ, ტრანსპორტზე ბეტონის მომზადებისა და დაგების, ხე-ტყის გამოზიდვის, დატვირთვა-გადატვირთვის სამუშაოების მხრივ და სხვა შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მხრივ.

1949 წლის პირველ ნახევარში მოწყობილობის გამოყენება მრეწველობაში გაუმჯობესდა 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით ბრძმედების სასარგებლო მოცულობის გამოყენება 8 პროცენტით გაუმჯობესდა, ხოლო მარტენის ღუმელების ერთი კვადრატული მეტრი ფართობიდან ფოლადის მიღება 11 პროცენტით გადიდდა 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით.

1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით ელექტროსადგურების სამინისტროს რაიონულ ელექტროსადგურებში ერთ გამომუშავებულ კილოვატსაათ ელექტროენერგიაზე სათბობის ხარჯი შემცირდა 3 პროცენტით.

1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გაუმჯობესდა სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცემენტის ქარხნების სიმძლავრეთა გამოყენება, აგრეთვე მოწყობილობის გამოყენება მსუბუქი მრეწველობის ძირითად დარგებში.

ამავე დროს მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა მთლიანად ვერ გამოიყენეს არსებული სიმძლავრენი. 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით არასაკმაოდ გადიდდა საჯულავი მანქანების წარმადობა ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს საწარმოთა სანგრევებში და ნავთის ჭაბურღილების საექსპლოატაციო ბურღვის სიჩქარე ნავთის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში.

საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის მრეწველობის მუშაკთა შორის გაჩაღებული ფართო მოძრაობის შედეგად გაუმჯობესდა სამრეწველო პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი.

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების 1949 წლის პირველი და მეორე კვარტალებისათვის დაწესებული გეგმა, გადაჭარბებითაა შესრულებული.

III

### სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობაში წარმატებით ჩატარდა საგაზაფხულო თესვა. კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თესვა ჩაატარეს შემჭიდროებულ ვადებში და უზრუნველყვეს მინდვრის სამუშაოთა მაღალი ხარისხი. გადაჭარბებით შესრულდა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა.

1949 წლის მოსავლისათვის ნათესი ფართობების ზრდა კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებში, წინასწარი ცნობებით, 1948 წელთან შედარებით, შეადგენს 6 მილიონამდე ჰექტარს.

ყველაზე ძვირფასი მარცვლეული კულტურის—საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ფართობი გადიდდა 1,6 მილიონი ჰექტარით. კარტოფილის ნათესები გადიდდა 386 ათასი ჰექტარით, ბამბისა — 183 ათასი ჰექტარით, საბოჭკოე სელისა — 381 ათასი ჰექტარით, კანაფისა — 94 ათასი ჰექტარით, მზესუმზირისა — 280 ათასი ჰექტარით.

სერიოზული წარმატებანია მიღწეული მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, საკვები ძირხვენებისა და სასილოსე კულტურების ნათესების გაფართოებაში.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები უკეთ მოემზადნენ მოსავლის აღებისათვის, ვიდრე 1948 წელს. გაცილებით მეტი, ვიდრე 1948 წელს, შეკეთდა კომბაინები, სამკელები, სალეწი და სხვა მანქანები. შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდა საწვავის მარაგი ტრაქტორებისა და ავტომანქანებისათვის. მექანიზაციის სკოლებში და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ კურსებზე მომზადდა და გადამზადდა დაახლოებით 60 ათასი კომბაინერი და კომბაინერის თანაშემწე და დიდძალი სხვა მუშაკები, რომლებიც საჭირონი არიან მოსავლის ასაღებად.

სოფლის მეურნეობამ 1949 წლის პირველ ნახევარში მიიღო ერთნახევარჯერ მეტი ტრაქტორები და სატვირთო ავტომანქანები, ვიდრე 1948 წლის იმავე პერიოდში, კომბაინები—74 პროცენტით მეტი, ხოლო თვითმავალი კომბაინები—თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1948 წლის პირველ ნახევარში. 1949 წლის მოსავლის აღებისათვის სოფლის მეურნეობამ 1948 წელთან შედარებით მიიღო სათიბი მანქანები—22 პროცენტით მეტი, სამკელები—31 პროცენტით მეტი, რთული სალეწი მანქანები—2,3-ჯერ მეტი და მარტივი სალეწი მანქანები — 36 პროცენტით მეტი, აგრეთვე მოსავლის ასაღები ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ჩვენი ქვეყნის სამხრეთში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიმდინარეობს მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსავლიანობის გამომრკვევი მთავარი სახელმწიფო ინსპექციის ცნობებით, უკრაინაში, ყუბანსა და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რაიონებში, მცირე გამონაკლისს გარდა, მოყვანილია მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი. ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და დასავლეთ რაიონებში მარცვლეული კულტურების მოსავალს კარგი პირი უჩანს. ამ რაიონებში მოელიან შარშანდელზე მეტ მოსავალს. ვოლგისპირეთის რაიონებში, სადაც შარშან გვალვის გამო დაბალი მოსავალი იყო, მიმდინარე წელს მიღებულია საშემოდგომო კულტურების კარგი მოსავალი, ხოლო საგაზაფხულო ნათესები დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ურალზე, ციმბირში, ჩვენი ქვეყნის სხვა აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებში ნათესების მდგომარეობა კარგია.

ივნისში თითქმის ყველგან მოსულმა წვიმებმა ხელსაყრელი პირობები შექმნეს შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, სელის, სხვა ტექნიკური კულტურებისა და ბოსტნეულის ნათესების ზრდისა და განვითარებისათვის.

ანეულის ხვნა 1950 წლის მოსავლისათვის ჩატარდა უფრო ადრე, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1949 წლის 5 ივლისისათვის ანეული მოხნულია 5 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე რიცხვისათვის, და გაუმჯობესდა ანეულის მოხვნის სამუშაოთა ხარისხი.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა 1949 წლის პირველ ნახევარში კოლმეურნეობებში 16 მილიონი ჰექტარით მეტი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები შეასრულეს, ვიდრე 1948 წლის პირველ ნახევარში. თითქმის ორი მესამედი საგაზაფხულო სახნავი და თითქმის სამი მეოთხედი ანეული მოხნულია წინასახნისიანი გუთნებით.

ახორციელებენ რა სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიანი რაიონების ბუნების გარდაქმნის სტალინურ გეგმას, ამ რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სატყეო მეურნეობებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს მინდორსაცავი ტყის გაშენების გაზაფხულის გეგმა. წარმატებით მიმდინარეობს ტყის ნარგავების მოვლისა და მომავალი ტყის ნარგავებისათვის ნიადაგის მომზადების სამუშაოები.

კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები შეუდგნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელებას.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში 1948 წლის 1 ივლისიდან 1949 წლის 1 ივლისამდე გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 20 პროცენტით, მათ შორის ძროხისა — 24 პროცენტით, ღორის სულადობა—79 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—11 პროცენტით.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობა სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებში 1948 წლის 1 ივლისიდან 1949 წლის 1 ივლისამდე გადიდდა: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 16 პროცენტით, ღორისა—52 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 17 პროცენტით.

IV

### რკინიგზის, სამდინარო და საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთზიდვის ზრდა

1949 წლის მეორე კვარტალში რკინიგზის ტრანსპორტზე საშუალო სადღეღამისო დატვირთვის საერთო გეგმა შესრულებულია 100,8 პროცენტით.

რკინიგზებზე ყველა ტვირთის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 17 პროცენტით გადიდდა. 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით ქვანახშირის საშუალო სადღეღამისო დატვირთვა გადიდდა 10 პროცენტით, კოქსისა — 24 პროცენტით, ნავთობისა — 24 პროცენტით, მადნისა — 17 პროცენტით, შავი ლითონებისა—18 პროცენტით, ცემენტისა—42 პროცენტით, ხე-ტყის ტვირთებისა—18 პროცენტით.

ამავე დროს რკინიგზის ტრანსპორტზე არსებული რეზერვები სატვირთო ვაგონის ბრუნვის დასაჩქარებლად და მატარებლების მოძრაობის სიჩქარის გასადიდებლად ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გამოყენებული. შეუსრულებელია დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციის გეგმა, თუმცა მექანიზაციის დონე ამაღლდა.

სამდინარო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 25 პროცენტით გადიდდა და კვარტალური გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით.

საზღვაო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 12 პროცენტით გადიდდა, მაგრამ გადაზიდვის კვარტალური გეგმის შესრულებას 3 პროცენტი დააკლდა.

V

### კაპიტალურ სამუშაოთა ზრდა სახალხო მეურნეობაში

კაპიტალურ სამუშაოთა სეზონური უთანაბრობის ლიკვიდაციის შესახებ მთავრობის მითითებათა შესრულების საფუძველზე სამშენებლო ორგანიზაციებმა 1949 წლის პირველ ნახევარში შეასრულეს კაპიტალურ სამუშაოთა წლიური გეგმის გაცილებით მეტი ნაწილი, ვიდრე წინა წლებში.

ყველა კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1949 წლის პირველ ნახევარში 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით 120 პროცენტი შეადგინა, აქედან ქვანახშირის მრეწველობაში — 125 პროცენტი, მეტალურგიულ მრეწველობაში—121 პროცენტი, ელექტროსადგურებში — 137 პროცენტი, მანქანათმშენებლობაში — 114 პროცენტი, საშენ მასალათა მრეწველობაში — 123 პროცენტი, მსუბუქ და კვების მრეწველობაში — 116 პროცენტი და ტრანსპორტზე—132 პროცენტი.

საბინაო მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობამ 1949 წლის პირველ ნახევარში 1948 წლის პირველ ნახევართან შედარებით 138 პროცენტი შეადგინა.

1949 წლის პირველ ნახევარში ამოქმედებულია ახალი საწარმოო სიმძლავრენი მეტალურგიულ, ქვანახშირის, ქიმიურ მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, მსუბუქ, კვების და სხვა დარგების მრეწველობაში.

მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრომ 1949 წლის მეორე კვარტალში გასული წლის მეორე კვარტალთან შედარებით გაადიდა საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა და გადაჭარბებით შეასრულა კვარტალური გეგმა. მძიმე ინდუსტრიის მშენებლობის სამმართველომ, თუმცა გაადიდა 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა, მაგრამ კვარტალური გეგმა ვერ შეასრულა.

VI

### საქონელბრუნვის გაშლა

1949 წლის პირველი მარტიდან მასობრივი მოხმარების საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების ახალი შემცირების შემდეგ გრძელდებოდა საბჭოთა ვაჭრობის შემდგომი გაშლა. საცალო საქონელბრუნვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გადიდდა (შესადარ ფასებში) 19 პროცენტით, მაშინ როცა მოსახლეობისათვის მისაყიდი სასურსათო საქონლის მოცულობა უკვე დიდი იყო.

სასურსათო საქონლის გაყიდვა 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 15 პროცენტით გადიდდა, ამასთან ხორცის პროდუქტების გაყიდვა გადიდდა 51 პროცენტით, საკონდიტრო ნაწარმისა—40 პროცენტით, შაქრისა — 17 პროცენტით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გადიდდა არასასურსათო საქონლის გაყიდვა. 1949 წლის მეორე კვარტალში არასასურსათო საქონელი 27 პროცენტით მეტი გაიყიდა, ვიდრე 1948 წლის მეორე კვარტალში. ამასთან შალის ქსოვილის გაყიდვა გადიდდა 87 პროცენტით, აბრეშუმის ქსოვილისა — 60 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა—24 პროცენტით და ტყავის ფეხსაცმლისა—28 პროცენტით. რადიომიმღებთა გაყიდვა გადიდდა 60 პროცენტით, ველოსიპედებისა—55 პროცენტით, მოტოციკლებისა—80 პროცენტით, საათებისა—ორნახევარჯერ.

1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ფასები კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ბაზარზე, ხოლო გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რაოდენობა გადიდდა.

VII

### მუშა-მოსამსახურეთა რიცხვის გადიდება, სპეციალისტების მომზადება და შრომის ნაყოფიერების ზრდა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 1,6 მილიონით გადიდდა, ამასთან მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე გადიდდა 1.100 ათასზე მეტით და სასწავლებლებში, სამეცნიერო-საკვლევ და სამკურნალო დაწესებულებებში—200 ათასზე მეტით.

1949 წლის მეორე კვარტალში საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები დაამთავრა და მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე სამუშაოდ გაიგზავნა 111 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა.

1949 წლის მეორე კვარტალში უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრა 390 ათასამდე ახალგაზრდა სპეციალისტმა. გარდა ამისა, დაუსწრებელ, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში გამოსაშვებად მზადდებოდა 60 ათასამდე სპეციალისტი.

მრეწველობის მეტმა წილმა დარგებმა შეასრულეს 1949 წლის მეორე კვარტალისათვის სახელმწიფო გეგმით დადგენილი დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში.

მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერება 1949 წლის მეორე კვარტალში 1948 წლის მეორე კვარტალთან შედარებით გაიზარდა 15 პროცენტით, აქედან მანქანათმშენებლობაში—17 პროცენტით, მეტალურგიულ მრეწველობაში — 17 პროცენტით, ქვანახშირის მრეწველობაში—13 პროცენტით.

* * *

1949 წლის მეორე კვარტალში კვლავ ჩაღდებოდა სოციალისტური შეჯიბრება ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესასრულებლად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მიღწეულია წარმოების შემდგომი ზრდა და მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება, რამაც გამოხატულება ჰპოვა სახსრების ბრუნვის დაჩქარებით, თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით.

1949 წლის მეორე კვარტალის შედეგები მოწმობენ, დიდ წარმატებებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისა და ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო**

# საბჭოთა მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

სსრ კავშირის ბელგრადის საელჩომ იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ პარიზის სესიაზე უსაფუძვლოდ და იუგოსლავიის მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციის გაუწევლად მიიღო ისეთი გადაწყვეტილებანი ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ, რომლებშიც თითქოს უარყოფილია იუგოსლავიის კანონიერი მოთხოვნები ავსტრიისადმი, რის გამო იუგოსლავიის მთავრობა პროტესტს აცხადებს და მოითხოვს ამ გადაწყვეტილებათა გადასინჯვას.

ამ ნოტის პასუხად სსრ კავშირის საელჩომ 19 ივლისს იუგოსლავიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საელჩოს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 1949 წლის 22 ივნისის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობის მიერ დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

მტკიცებანი, რომლებსაც შეიცავს ხსენებული ნოტა, იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ უსაფუძვლოდ და იუგოსლავიის მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციის გაუწევლად მიიღო ისეთი გადაწყვეტილებანი ავსტრიის ხელშეკრულების შესახებ, რომლებშიც თითქოს უარყოფილია იუგოსლავიის კანონიერი მოთხოვნები ავსტრიისადმი, სინამდვილეს არ შეესაბამება, ხოლო სსრ კავშირის მიმართ უხეშ ცილისწამებას წარმოადგენს. იუგოსლავიის მთავრობის ასეთი მტკიცებანი აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ იუგოსლავიის ხალხებს დაუმალონ იმ საიდუმლო მოლაპარაკების ჩაშლა, რომელსაც იუგოსლავიის მთავრობა საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან აწარმოებდა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებთან ავსტრიის ხელშეკრულების საკითხზე.

ჯერ კიდევ 1947 წელს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიამდე ბევრად ადრე, იუგოსლავიის მთავრობა საბჭოთა კავშირის ზურგს უკან ცდილობდა მორიგებოდა დასავლეთ სახელმწიფოებს ავსტრიისადმი იუგოსლავიის ტერიტორიული და ეკონომიური პრეტენზიების საკითხებზე. ასეთ საიდუმლო მოლაპარაკებას ადგილი ჰქონდა 1947 წლის ზაფხულში იუგოსლავიის წარმომადგენლსა და ინგლისის მინისტრ ნოელ-ბეიკერს შორის ბელგრადში, აგრეთვე ინგლისში იუგოსლავიის ელჩ ლეონტიჩსა და ინგლისის მინისტრ მაკნეილს შორის ლონდონში, ეს საიდუმლო მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობამ შეიტყო სსრ კავშირის უმაღლეს კომისართან მყოფი პოლიტიკური მრჩევლის მაშინდელი მოადგილის საუბრიდან იუგოსლავიის წარმომადგენელთან ვენაში კერმაუნერთან, რომელმაც ამ საუბარში შემთხვევით მოიხსენია მოლაპარაკება იუგოსლავიისა და ინგლისის წარმომადგენლებს შორის ავსტრიისადმი იუგოსლავიის ტერიტორიული მოთხოვნების საკითხზე.

ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობამ სსრ კავშირის ელჩს ბელგრადში დაავალა შეკითხვა მიეცა იუგოსლავიის მთავრობისათვის ამ საკითხზე. ამ შეკითხვის პასუხად იუგოსლავიის მთავრობა იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ინგლისელებთან მოლაპარაკებას მართლაც ჰქონდა ადგილი და რომ ამ მოლაპარაკების დროს იუგოსლავიის მთავრობამ იმდენად რადიკალურად შეიცვალა პოზიცია, რომ ფაქტიურად ხელი აიღო თავის თავდაპირველ ტერიტორიულ მოთხოვნებზე ავსტრიისადმი. რაზე მოურიგდა იუგოსლავიის მთავრობა დიდი ბრიტანეთის მთავრობას და რა დაპირებანი გააკეთა იუგოსლავიის მთავრობამ იუგოსლავიის ნაციონალურ უფლებათა ხარჯზე, ეს საბჭოთა მთავრობამ არ იცის. იუგოსლავიის მთავრობას ანგარიში რომ გაეწია საბჭოთა მთავრობისათვის, როგორც მოკავშირე მთავრობისათვის, იგი ფარულ მოლაპარაკებას არ გამართავდა საბჭოთა მთავრობის ზურგს უკან. ასეთ გარემოებებში იუგოსლავიის მთავრობას მით უმეტეს არავითარი საფუძველი არ მოეპოვება რაიმე პრეტენზია განაცხადოს ამ საკითხში.

საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად უჭერდა მხარს იუგოსლავიის მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია ავსტრიის ხელშეკრულებასთან, და მხოლოდ საბჭოთა კავშირის ღონისძიებათა მეოხებით მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ გადაწყვეტილებანი ავსტრიაში მცხოვრებ სლოვენ და ხორვატ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის გარანტიის შესახებ, აგრეთვე იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებული ავსტრიის საკუთრების, უფლებებისა და ინტერესების იუგოსლავიისათვის გადაცემის შესახებ იმ ზარალის ასანაზღაურებლად, რაც იუგოსლავიას ოკუპაციის პერიოდში მიაყენეს.

ზემოაღნიშნულის გამო საელჩო, საბჭოთა მთავრობის დავალებით, უარყოფს იმ პროტესტს, რასაც სამინისტროს ნოტა შეიცავს და რაც იუგოსლავიის მთავრობის მხოლოდ იმის ამაო ცდას წარმოადგენს, რომ იუგოსლავიის ხალხების წინაშე გაამართლოს თავისი ფარული მაქინაციები“. (საქინფორმი).

# 236 ათასი ქილა კონსერვი გეგმის გადამეტებით

**სამტრედია.** (საკ. კორ.). საკონსერვო კომბინატის კოლექტივმა 6 თვის გეგმის გადამეტებით 236.000 ქილა კონსერვი გამოუშვა. დიდი რაოდენობით არის გამოშვებული მარწყვის, ბლისა და ალუბლის მურაბა. მეკონსერვეებმა დაზოგეს 2,8 ტონა ნედლეული და 75 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

კომბინატის მოწინავე სტახანოველებმა ვ. შუბლაძემ, ქ. ფარეიშვილმა, ა. ტიურინამ, ა. რუქენკომ და სხვებმა ნახევარი წლის დავალება 115-130 პროცენტით გაანაღდეს.

ახლა კომბინატში თავდადებული შრომაა გაჩაღებული ხუთწლიანი გეგმის წლის ბოლომდე შესრულებისათვის.

# სტახანოველ პ. მიროტაძის მიღწევა

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს ცნობილმა სტახანოველმა, სამგზის ორდენოსანმა პ. მიროტაძემ ახალი წარმატება მოიპოვა. ექვს თვეში ნაცვლად 1.662 ტონისა მან ქვეყანას მისცა 5.192 ტონა მარგანეცი და ნახევარი წლის გეგმა 312 პროცენტით შეასრულა. ამხ. მიროტაძემ ექვს თვეში წლინახევრის გეგმა შეასრულა და 45.825 მანეთი გამოიმუშავა. იგი ამჟამად ყოველდღიურ დავალებას 350 პროცენტით ასრულებს და 7 ნოემბრამდე კიდევ ერთი წლის გეგმის შესრულება აქვს ნაკისრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გმირ მეზღვაურებს!

## განხორციელებული ოცნება



ზემდეგი შ. წიქორიძე

ხანში შესული მიჩმანისაგან პერანგი, სამუშაო ტანსაცმელი და სხვა მოწყობილობა რომ მიიღო, შოთა წიქორიძე სასწრაფოდ შეუდგა ტანისამოსის ჩაცმას. მას უნდოდა მალე დაენახა თავი ამ ახალი ტანსაცმლით გამოწყობილი, რომელზეც იგი დიდხანს ოცნებობდა თავის ტოლებთან ერთად.

ვისაც ფლოტში უმსახურნია, არასოდეს დაავიწყდება თავისი სიცოცხლის ეს საგულისხმო დღე. დიდი ხნის ოცნების შემდეგ, როცა ფიქრში რამდენჯერმე მოგივლია ცურვით ყველა ზღვა და ოკეანე, ბოლოს ახდება ხოლმე ბავშვობის ოცნება. იცვამ ბრძოლებში განთქმულ ზოლიან პერანგს, იხურავ უსახიხო ქუდს და როგორღაც ერთბაშად ვაჟკაცი, საყვარელი სამშობლოს დამცველი ხდები.

ასე გარდაიქმნა შოთა წიქორიძეც. იგი თავის ამხანაგებში იდგა, მაგრამ ვერავის ამჩნევდა. იგი სიამოვნებით უყურებდა მეზღვაურის ქუდს, რომელსაც ჰქონდა ლენტი ოქროსფერასოიანი წარწერით: „შავი ზღვის ფლოტი". უკანასკნელი წლის განმავლობაში მან ბევრი რამ წაიკითხა შავზღვეველ მეზღვაურთა შესახებ, გმირი ქალაქების სევასტოპოლისა და ოდესის სახელგანთქმულ დამცველთა შესახებ, მოწინააღმდეგის ზურგში მათი უშიშარი ლაშქრობის, გაბედული ფრენის შესახებ. გაიხსენა რა ყოველივე ეს, მას გულწრფელად სურდა ყოფილიყო მათსავით გამოცდილი, უშიშარი მეომარი.

— დადექ!

მიჩმანმა ისეთი რიხიანი ხმით გასცა ბრძანება, რომ შოთა შეკრთა, სწრაფად დაიხურა ქუდი და მწყობრში ჩადგა.

— ნაბიჯით იარ!

ასე დაიწყო შოთა წიქორიძის სამსახური ფლოტში...

* * *

სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ მატროსი წიქორიძე გემ „კრასნი კავკაზზე" გაგზავნეს. ხომალდი ხშირად გადიოდა საბრძოლო დავალების შესასრულებლად და ახალგაზრდა მატროსს, რომელიც არ იყო მიჩვეული არც ზღვაში რწევას, არც ხომალდზე ცხოვრებას, პირველად უჭირდა. გარდა ამისა, მან ძალიან ცუდად იცოდა რუსული ენა, ეს კი ხელს უშლიდა ხომალდის რთული ტექნიკის შესწავლაში.

მას დაეხმარა პირველი თანრიგის ზემდეგი მიხეევი. მყისვე გამოჰყო ახალმოსული დანარჩენ ახალგაზრდა მატროსთაგან. გამობრძმედილ, გამოცდილ მეთაურს მოეწონა წიქორიძის ცოდნისმოყვარეობა, სურვილი — ზედმიწევნით შეესწავლა თავისი სპეციალობა, მოწინავე გამხდარიყო ხომალდზე. წიქორიძეს ზემდეგი დიდი იმედით უყურებდა და არც შემცდარა.

დრო მიდიოდა. მატროსმა წიქორიძემ ჩინებულად შეისწავლა არა მარტო თავისი სპეციალობა, არამედ მთელი ქვემეხის გუნდის მოვალეობანიც.

შეუპოვრობა შოთა წიქორიძის დამახასიათებელი თვისებაა. ეს თვისება დაეხმარა მას აქაც. როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მატროსს, წიქორიძეს მიანიჭეს მეორე თანრიგის ზემდეგის წოდება და ათეულის მეთაურად დანიშნეს, შემდეგ კი კოშკის ზემდეგად. პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრად მიიღო იგი.

მცოდნე, თავისი და ხელქვეითებისადმი მომთხოვნელმა მეთაურმა, კარგმა აღმზრდელმა მეორე თანრიგის ზემდეგმა წიქორიძემ თავის სამსახურის დროს არა ერთი ათეული დისციპლინიანი, უნარიანი მატროსი გამოზარდა. მისი ათეულის მატროსებს ამჟამად არც ერთი სასჯელი არა აქვთ მიღებული, მათი უმრავლესობა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მოწინავეა.

ზემდეგ შოთა წიქორიძის წახალისების ბარათში მარტო ამ უკანასკნელ წელიწადნახევარში ჩაწერილია ათზე მეტი მადლობა და მათ შორის ხანმოკლე შვებულება სამშობლოში წასასვლელად. ნაცად მეომარს მკერდს უმშვენებს მთავრობის ოთხი ჯილდო, ხოლო მის ფოტოსურათს საპატიო ადგილი უკავია საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანთა დაფაზე.

მაგრამ მეორე თანრიგის ზემდეგი წიქორიძე მარტო ჩინებული მეთაური როდია. იგი კარგი საზოგადო მუშაკია, უნარიანი პარტიული ხელმძღვანელი, 2 წლის მანძილზე პარტიული ორგანიზაციის შეუცვლელი მდივანია და კომუნისტების ნდობას პირნათლად ამართლებს.

უფროსი ლეიტენანტი ა. ქასშუკინი

## სამშობლოს განაწესი

მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის მცხოვრების ანდრო გურგენიძის ხსოვნაში დიდხანს დარჩება 1942 წლის გაზაფხულის ერთი დღის მოგონება. მრისხანე საფრთხის დღეებში, რომელიც თავს ჩამოაწვა ჩვენს სამშობლოს, მზიური საქართველოს მშრომელნი, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკების ხალხები, თავიანთ შვილებს გზავნიდნენ რათა სამშობლო დაეცვათ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან. თავიანთ შვილებს გზავნიდნენ ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებიც. ისინი გულთბილად აცილებდნენ ფლოტში თავიანთ თანასოფლელებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მომავალ მეზღვაურებს მხურვალე სიტყვით მიმართა. იგი ღრმად ჩასწვდა გულში ანდრო გურგენიძეს. მას ესმოდა, რომ ეს იყო არა მარტო მის თანასოფლელთა განაწესი, არამედ მთელი სამშობლოს განაწესიც. თავის თანამემამულეთა ნდობის გამართლება, ხალხის ნდობის გამართლება — ასეთი იყო ანდროს მისწრაფება.

გურგენიძე მოხვდა გემ „სევასტოპოლის" შესანიშნავი ეკიპაჟის წრეში. იგი დაინიშნა მთავარი კალიბრის კოშკში და სამსახურის პირველი დღეებიდანვე მთელი არსებით ჩაება საბრძოლო მეცადინეობაში. თეორიული მეცადინეობა საბრძოლო ტექნიკის შესასწავლად, პრაქტიკული ვარჯიში საბრძოლო საგუშაგოებზე, გამოცდილი არტილერისტების ნაამბობი და დახმარება — ყველაფერი გამოიყენა ანდრომ თავისი სპეციალობის სწრაფად ათვისებისათვის. დაძაბულმა მეცადინეობამ მალე გამოიღო შედეგი. პირველი საბრძოლო სროლა გურგენიძემ მაღალი შეფასებით ჩაატარა.

ასე დაიწყო ჩამოყალიბება მარჯვე საარტილერიო ზალპის ოსტატმა ანდრო გურგენიძემ. მისი ოსტატობა წლითიწლობით მატულობდა. გურგენიძე ახალ-ახალ წარმატებას აღწევდა. მისი დაუცხრომელი საბრძოლო სრულყოფის თვალსაჩინო დადასტურებას წარმოადგენს წახალისების ბარათი, სადაც ჩაწერილია ორ ათეულამდე მადლობა, ჯილდო, რიგ გარეშე შვებულება.

გურგენიძესთან ერთად გემზე მსახურობს პირველი თანრიგის ზემდეგი ნოდარ დიდია. იგი გემზე ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი, რადიოკავშირგაბმულობის ოსტატია. ყველაზე პასუხსაგებ რადიოვახტებს მხოლოდ მას ანდობენ. და ეს პატივი მან დაიმსახურა თავისი შრომისმოყვარეობით, სამსახურებრივი მოვალეობის გულმოდგინედ შესრულებით.

1943 წელს დიდიამ წარმატებით დაამთავრა შავი ზღვის ფლოტის კავშირგაბმულობის სკოლა და გემზე მოვიდა რიგით რადისტად. სამსახურის პირველი დღეებიდანვე თავი გამოიჩინა, როგორც შრომისმოყვარე და დისციპლინიანმა, მეცადინეობასა და მუშაობაში დაუღალავმა მეომარმა. უკვე 1944 წლის დამლევს დიდია დაწინაურებულ იქნა რადისტთა ათეულის მეთაურად და მას შემდეგ თავისი ოსტატობის ყოველდღიურ სრულყოფას აერთებს ხელქვეით მატროსთა აღზრდასა და სწავლებასთან. ნოდარ დიდიამ თავისი სამსახურის წლებში მოამზადა ათობით პირველხარისხოვანი რადისტი.

დიდიას ათეულშია მატროსი ლიადოვი. პირველ ხანებში იგი სამსახურში წარმატებას ვერ იჩენდა. ნელი და უინიციატივო იყო და ყოველ საბაბს ეძებდა, რომ როგორმე თავი აერიდებინა მეცადინეობისათვის. ბევრი თანამოსამსახურე ამბობდა, ლიადოვისგან ხეირი არ გამოვაო.

მაგრამ ასე როდი ფიქრობდა დიდია. საბრძოლო სწავლებისაგან თავისუფალ საათებში ზემდეგი დიდია ხშირად ესაუბრებოდა ლიადოვის სამსახურის შესახებ. უამბობდა მას გემის საუკეთესო ადამიანებზე, რომლებმაც თავიანთი შრომითა და ბეჯითობით გემზე სახელი მოიხვეჭეს და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურეს, განუმარტავდა მხედრული ფიცისა და წესდებათა მოთხოვნებს, ელაპარაკებოდა მეზღვაურთა მხედრულ სიამაყეზე, საბრძოლო საგუშაგოს ღირსებაზე. და ამ გულითადმა საუბრებმა ზემდეგის მაღალ მომთხოვნელობასთან ერთად თავისი როლი შეასრულა. სამსახურის პირველი წლის დასასრულისათვის ლიადოვი უკვე წარმატებით ასრულებდა დაწესებულ ნორმატივებს, კარგად იცნობდა ტექნიკას. გაქრა მოდუნებულობა და სინელე. ახლა ლიადოვი საუკეთესო სპეციალისტად, სანიმუშო მეომრად ითვლება. ასეთი მაგალითები დიდიას მუშაობაში ბევრი ჰქონია.

ქალაქ ფოთის მშრომელებს შეუძლიათ იამაყონ, რომ ფლოტს მისცეს ისეთი შესანიშნავი მეომარი, როგორიც არის ნოდარ დიდია.

ტყიბულის რაიონის სადგურ ხრესილში ცხოვრობენ და მუშაობენ პირველი თანრიგის ზემდეგის ბონდო მერკვილაძის მშობლები. ჯერ კიდევ 1942 წელს გააცილეს მათ თავიანთი შვილი შავი ზღვის ფლოტში. ბონდო მსახურობდა ხომალდ „კრასნი კრიმზე" და მონაწილეობას იღებდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებში. როგორც მაღალი საბრძოლო გაწვრთნილობის, ამტანობისა და მამაცობის ნიშანი მთავრობის სხვა ჯილდოებთან ერთად მას მკერდს უმშვენებს საზღვაო მამაცობის ნიშანი — უშაკოვის მედალი. ეს ჯილდო მან მიიღო ნოვოროსიისკთან საბრძოლო ოპერაციაში მონაწილეობისათვის.

1943 წლიდან ბონდო მერკვილაძე საზღვაო სამსახურს განაგრძობს წითელდროშოვან გემ „სევასტოპოლზე". მას შემდეგ იგი კიდევ უფრო გაიზარდა და გაიწაფა. იგი ეხმარება ახალგაზრდა მატროსებს შორმზომავის რთული და პასუხსაგები სპეციალობის შესწავლაში. იგი დაეხმარა მატროს ორლოვსკის გამხდარიყო საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი. მისი ყოფილი ხელქვეითი სურკოვი ახლა თვითონ არის მატროსების აღმზრდელი და ათეულის მეთაურის პოსტი უჭირავს.

საბრძოლო სწავლებაში მეცადინეობისა და ბეჯითობის მეოხებით, მერკვილაძე მიზნამდე დისტანციების ზუსტად გამორკვევის ოსტატი გახდა. იგი უზრუნველყოფს გემის ცეცხლითი ამოცანების ჩინებულად შესრულებას.

მაგრამ მერკვილაძეს გემზე იცნობენ არა მარტო როგორც ჩინებულ სპეციალისტ-შორმზომავს. ბონდო მერკვილაძე პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანია. იგი უნარიანად წარმართავს პარტიულ მუშაობას საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შესრულებისაკენ, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებს კომუნისტებს სწავლასა და სამსახურში ჩინებული მაჩვენებლების მისაღწევად. და შემთხვევითი როდია, რომ იმ პარტორგანიზაციაში, რომელსაც სათავეში უდგას მერკვილაძე, არ არის პარტიის არც ერთი ისეთი წევრი ან კანდიდატი, რომელიც საბრძოლო მომზადებაში ჩამორჩებოდეს.

ჩვენ ვილაპარაკეთ მხოლოდ სამ სამხედრო მეზღვაურზე — საქართველოს შვილებზე, რომლებიც თავიანთი შრომით დიდებას მატებენ სახელმოხვეჭილ გემს „სევასტოპოლს", განამტკიცებენ ფლოტის ძლიერებას. ასეთი ამხანაგები ბევრია. ისინი ღირსეულად ასრულებენ სამშობლოს განაწესს — ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვაო ზღუდეებს.

კაპიტან-ლეიტენანტი მ. ხაპიჩევი





შავი ზღვის ფლოტი. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) საბჭოთა კავშირის გმირი ა. კანანაძე, ხომალდ „სევასტოპოლის" საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები—მე-2 თანრიგის ზემდეგი ბ. მერკვილაძე, მატროსი ა. გურგენიძე და 1-ლი თანრიგის ზემდეგი ნ. დიდია.

ფოტო ლ. რედკინის

## ხომალდის საუკეთესო მემანქანე



უფროსი მატროსი მ. გვაზავა

როგორც კი ღუზა ჩაუშვეს, ხომალდის კიჩოზე აფრიალდა სამხედრო-საზღვაო ალამი, რომელზეც გამოსახულია საბრძოლო წითელი დროშის ორდენი. ხომალდი „ნეზამოჟნიკი" მკვირცხლად მიადგა კედელს და მყისვე დადგა, რასაც მეზობელი ხომალდების მეზღვაურნი მოწონებით უცქეროდნენ.

— კარგი მემანქანეები არიან საესკადრო ნაღმოსანზე, — შენიშნეს კედელზე მდგომმა მატროსებმა.

— დიახ, „ნეზამოჟნიკის" მემანქანეებმა მარჯვე სპეციალისტების, თავისი საქმის მცოდნე მეომრების სახელი მოიხვეჭეს. და საუკეთესოდ მათში სამართლიანად ითვლება მემანქანე-ტურბინისტების ათეულის მეთაური, უფროსი მატროსი მელენტი გვაზავა.

მეხუთე წელია ხომალდზე მსახურობს კომკავშირელი გვაზავა.

გვაზავამ სამსახურის პირველი დღეებიდანვე ამსრულებელი და შრომისმოყვარე მატროსის სახელი მოიხვეჭა. მისი ათეულის მეთაური, ფლოტის ერთ-ერთი უაღრესად გამოცდილი სპეციალისტი ზემდეგი ბოგდაშოვი დროსა და შრომას არ ზოგავდა, ოღონდ ახალგაზრდა მეზღვაურისათვის ესწავლებინა.

სამი თვის შემდეგ — სხვა სპეციალისტებზე ადრე — გვაზავა დამოუკიდებელ ვახტზე დააყენეს.

გვაზავას მასწავლებელი ზემდეგი ბოგდაშოვი, დიდი ხანია უკვე დემობილიზებულია. ამას წინათ ხომალდი № ნავსადგურში იყო. აქ მუშაობს ალექსი. იგი მაშინვე მივიდა ხომალდზე. მეგობრები მხურვალედ მიესალმნენ ერთმანეთს.

— აბა მელენტი, როგორ არის შენი საქმე?,—კითხა მასწავლებელმა.

— ჩინებულად, ალექსი,—უპასუხა მოწაფემ.

გვაზავამ უამბო ბოგდაშოვს თავისი წარმატებანი სამსახურსა და სწავლაში. იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია. 30-ზე მეტი წახალისება უწერია ბარათში. გვაზავას ათეული, რომელსაც ომის დროს ბოგდაშოვი მეთაურობდა, მოწინავეა ხომალდზე. საბჭოთა არმიის დღეს გვაზავას, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მეომარს, ფლოტის სარდლის ხელმოწერილი საპატიო სიგელი გადაეცა. ამ ცოტა ხნის წინათ კი ხომალდის შეფებმა, ჩერნიგოვის ოლქის კომკავშირელებმა უკრაინის ალკკ საოლქო კომიტეტის სიგელი გაუგზავნეს გვაზავას.

— ყოჩაღ მელენტი,—შექო უფროსი მატროსი ბოგდაშოვმა. — კვლავაც მტკიცედ დაიცავი ჩვენი წითელდროშოვანი ხომალდის საბრძოლო ტრადიციები.

— მალე ჩვენი დღესასწაული იქნება, ალექსი. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს ჩემი ათეული მხოლოდ საბრძოლო და პოლიტიკური სწავლის ჩინებული მაჩვენებლებით შეეგებება.

გვაზავამ შეასრულა თავისი პირობა. ამას წინათ დამთავრებულმა ლაშქრობამ მემანქანე-ტურბინისტების ჩინებული მოქმედება ცხადყო. ხომალდის მეთაურმა განსაკუთრებით აღნიშნა უფროს მატროს გვაზავას და მისი ხელქვეითების უნარიანი მოქმედება.

მელენტი გვაზავამ ზღვიდან დაბრუნების შემდეგ წერილი მიიღო საქართველოდან. ძმა მირიანი მშობლიური კოლმეურნეობიდან იწერება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატების ამბავს. მელენტიმ ამხანაგებს წაუკითხა წერილი. ყველა დიდი ინტერესით ისმენდა გვაზავას ნაამბობს მისი მშობლიური მხარის შესახებ. ოდესღაც ღარიბულად ცხოვრობდნენ საქართველოს ამ რაიონში, მარტო სიმინდი მოჰყავდათ. ახლა აქ ჩაის, ციტრუსების მდიდარი პლანტაციები გადაჭიმულა. გვაზავას ბევრი თანამემამულე მამაცური შრომისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაუჯილდოებიათ.

რა კარგია ჩვენი სამშობლო,—თქვა ერთ-ერთმა მატროსმა.—რამდენი შესანიშნავი ადგილია ჩვენს სამშობლოში.

— აი ჩვენც ისე უნდა ვიმსახუროთ, რომ მუდამ ფხიზლად ვიდგეთ ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე,—უპასუხა ათეულის მეთაურმა მელენტი გვაზავამ.

უმცროსი ლეიტენანტი ვ. კოჭურკინი

## გმირი ოფიცერი ალექსანდრე კანანაძე

იმ დღეს, როცა ალექსანდრე კანანაძეს და ოთხ სხვა მეკატერეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიანიჭეს, კანანაძე ნაწილში არ ყოფილა. იგი ამ დროს საბრძოლო დავალებას ასრულებდა. ზეიმმა ისე ჩაიარა, რომ საბჭოთა კავშირის გმირი კანანაძე არ დასწრებია. იგი ზღვიდან ბაზაში დაბრუნდა მეორე დღეს, 1944 წლის 17 მაისს. სატორპედო კატერი, რომელსაც იგი მეთაურობდა, ის-ის იყო ჰორიზონტზე გამოჩნდა და ყველა მატროსი, ზემდეგი და ოფიცერი ნაპირზე გამოეფინა. ჰაერში აჭრიალდა ნაირფერადი რაკეტები, სასული ორკესტრმა შეხვედრის მარში დაიგუგუნა. მედიცინის დებს ნიკიფოროვას და მოროზოვას ხელში ეჭირათ ყვავილები და სურდათ რაც შეიძლება მალე გადაეცათ სახელგანთქმული მეთაურისათვის.

აქვე ნაპირზე იდგა ოთხი სხვა გმირი: კოჩიევი, კუდერსკი, კოტოვი, ჩერცოვი. ისინი სიხარულით ელოდნენ, როდის მიადგებოდა კანანაძე, რომ გადახვეოდნენ და ჩაეკოცნათ.

აი აგრიალდა მოტორები და კატერი მოხდენილად მიადგა ნაპირს. კანანაძე გამოვიდა მებრძოლის კაიუტიდან. მყისვე გაიმართა მიტინგი. უფროსმა ოფიცერმა მიულოცა გმირს მთავრობის უმაღლესი ჯილდო და ახალი საბრძოლო წარმატებანი უსურვა. მას მხურვალედ მიულოცეს სხვა ამხანაგებმაც. მიტინგის ბოლოს სიტყვა ითხოვა კანანაძემ. იგი ღელავდა ჯილდოს მიღების გამოც და იმ შეხვედრის გამოც, მას რომ თანამებრძოლებმა მოუწყეს და ძლივს წარმოთქვა მოკლე სიტყვა. კანანაძის მიერ წარმოთქმული ეს რამდენიმე სიტყვა ახასიათებს ბოლშევიკი კანანაძის სახეს, მის არაჩვეულებრივ თავმდაბლობასა და მოკრძალებას.

— პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ჩემს მცირე დამსახურებას. ჩემთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მონიჭებას უნდა ვუმადლოდე ჩემი რგოლის მამაც მატროსებსა და ზემდეგებს, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ ჩვენი საყვარელი სამშობლოსათვის, მშობლიური სევასტოპოლისათვის...

რასაკვირველია, არმიაში, ფლოტში მეთაური ვერაფერს გახდება უჯაროდ, და კანანაძე ამდენ გმირობას ვერ მოახდენდა, მის ხელქვეითებს რომ ასე გაბედულად და მამაცურად არ შეესრულებინათ ყველა მისი ბრძანება. მაგრამ მეთაურიც ხომ იმიტომ არსებობს, რომ დარაზმოს პირადი შემადგენლობა, გაწვრთნას და მტრის გასანადგურებლად მიმართოს მთელი მისი ძალღონე. კანანაძე თავისი მატროსებისა და ზემდეგების შესანიშნავი აღმზრდელი, ჭკვიანი, მამაცი მეთაურია და სამშობლომ მას მაღალი ჯილდო საბჭოთა ხალხის წინაშე მისი პირადი დამსახურებისათვის მიანიჭა.

* * *

როცა ომი დაიწყო, ალექსანდრე 25 წლისა იყო. იგი იმ გზით როდი წავიდა, რომელიც წინათ ოცნებით ჰქონდა წარმოდგენილი. როცა 1931 წელს შვიდწლედი, ხოლო შემდეგ რკინიგზის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა დაამთავრა, მან მტკიცედ გადაწყვიტა რკინიგზელი გამხდარიყო. ამ მიზნით 1937 წელს შევიდა თბილისის საგზაო ტექნიკუმში. მაგრამ ამ დროს ჩვენს სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომელიც სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა, ბევრი მამაცი და უნარიანი კადრი დასჭირდა. საქართველოს კომკავშირმა თავის სხვა შვილთა შორის კანანაძეც გაგზავნა უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, რომელიც მან წარმატებით დაამთავრა. ეს მოხდა ომის დაწყებამდე სამი თვით ადრე. ახალგაზრდა ლეიტენანტმა, რომელიც სატორპედო კატერის მეთაურად დაინიშნა, მთელი ყურადღება საბრძოლო სწავლას მიაქცია. რკინიგზების ნაცვლად იგი სერავდა შავი ზღვის უჩინარ გზებს.

როცა ომი ატყდა, კანანაძემ ფრონტზე გაგზავნა ითხოვა, მაგრამ სარდლობას თავისი გეგმა ჰქონდა: იგი ჯერჯერობით ზურგის ბაზაში დატოვეს სხვებთან ერთად. პირველი საბრძოლო ნათლობა მან მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიიღო, როცა გერმანელებმა უკვე დაიკავეს ყირიმი. სამ სხვა სატორპედო კატერთან ერთად კანანაძე გაბედულად დაესხა თავს ერთ-ერთ ნავსადგურს და უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელებს თავისი ტორპედოებით. ალექსანდრე ღინჯად და უნარიანად მოქმედებდა.

ამ ოპერაციისათვის კანანაძე წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს.

კანანაძემ თავი ისახელა აგრეთვე ნოვოროსიისკის განთავისუფლებისათვის გადამწყვეტი ბრძოლების დროს 1943 წლის 9 სექტემბერს ღამით. სატორპედო კატერებს ამოცანად დაუსახეს დაერტყათ მოწინააღმდეგის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებისათვის აღმოსავლეთ მოლოზე, სიმაგრეებისათვის სანაპიროზე და ამით მოემზადებინათ დესანტის გადასასხმელი ადგილები. კანანაძის ეკიპაჟმა ფიცი დასდო რომ პირნათლად შეასრულებდა ამ საბრძოლო ამოცანას. 2 საათსა და 44 წუთზე სატორპედო კატერები იერიშზე წავიდნენ. გასროლილმა ტორპედოებმა აათითქეს ხანგრძლივი სიმაგრეები. კანანაძის კატერმა ცემენტის ქარხნის რაიონში ტორპედოთი აათითქა მოწინააღმდეგის ორი ძელმიწური საცეცხლე წერტილი, თავისი ტყვიამფრქვევებით გაჟლიტა მტრის ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი.

16 სექტემბერს ნოვოროსიისკის განთავისუფლების ყველა მონაწილეს, მათ შორის კანანაძესაც უმაღლესმა მთავარსარდალმა ამხანაგმა სტალინმა მადლობა გამოუცხადა, ხოლო სარდლობამ წითელი ვარსკვლავის მეორე ორდენით დააჯილდოვა იგი.

კატერები, რომლებსაც კანანაძე მეთაურობდა, შემდეგ უზრუნველყოფდნენ დესანტის გადასხმას ტამანიდან გაქცეული გერმანელების ზურგში, ამასთან კვლავ განსაკუთრებით ისახელა თავი თვით კანანაძის კატერმა. უფროსმა ლეიტენანტმა პირველმა შეასრულა დავალება, ხოლო შემდეგ ჩააჩუმა მოტორები, ყოველ წუთს მოელოდა, რომ მის წინააღმდეგ იერიშს მიიტანდნენ. დადგა აღნიშნულ რაიონში და აწესრიგებდა სხვა ხომალდების მიმოსვლას. მისი მეოხებით ოპერაცია განსაკუთრებით ორგანიზებულად შესრულდა, რისთვისაც რგოლის მეთაური მესამე ორდენით — სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს.

თვითეული საბრძოლო ლაშქრობის შესახებ, რომელშიც ალექსანდრე კანანაძეს მონაწილეობა მიუღია, ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს. ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ორ ოპერაციაზე.

1943 წლის 2 ნოემბერს ღამით ჩვენმა ჯარებმა დესანტი გადასხეს ქერჩის ნახევარკუნძულზე. გადასვლას უზრუნველყოფდნენ სატორპედო კატერები. ისინი ბრძოლას ეწეოდნენ მოწინააღმდეგის სადესანტო კარჭაპების და სხვა ხომალდების წინააღმდეგ. დეკემბრის ერთ-ერთ ღამეს კატერების ჯგუფი, რომელშიც კანანაძის რგოლიც შედიოდა, ძლიერი ქარიშხლის მიუხედავად, გაბედულად შეიჭრა კამიშ-ბურუნის ნავსადგურში, სადაც მტრის ხომალდები იდგნენ და ჩაძირა ორი სწრაფმავალი სადესანტო კარჭაპი, ორი კი იმდენად დააზიანა, რომ სავსებით გამოიყვანა მწყობრიდან.

ქერჩისათვის ბრძოლებში უფროსი ლეიტენანტ კანანაძის ეკიპაჟს არა ერთხელ ესახელებია თავი.

მამაცი მეთაურის გმირობა დაგვირგვინა შავი ზღვის მეზღვაურთა დიდა-

ქალაქ სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლამ. კატერებს დასახული ჰქონდათ ამოცანა — არ გაეშვათ რუმინეთის ნაპირებისაკენ მტრის არც ერთი ხომალდი, დაუნდობლად ჩაეძირათ ისინი შავ ზღვაში. მეკატერეები პირნათლად ასრულებდნენ ამ ამოცანას, აი მხოლოდ ერთი მრავალ ეპიზოდთაგანი გერმანელთა საზღვაო ბლოკადისა სევასტოპოლში.

ეს მოხდა 1944 წლის 1 მაისის წინა დღეს. ხომალდების ჯგუფი, რომელსაც კანანაძის კატერი მიუძღოდა, წავიდა მოწინააღმდეგის საცურაო საშუალებათა საძებნელად. პატარა ღელვა იყო. 21 საათსა და 15 წუთზე კანანაძემ სატრანსპორტო გემების დიდი ქარავანი შენიშნა. ჩვენი სატორპედო კატერები მაშინვე წავიდნენ იერიშზე. კანანაძემ უფროს ლეიტენანტ პეტროვს უბრძანა იერიში მიეტანა 3 ათასი ტონა წყალწყვის ბოლო ტრანსპორტზე, თვითონ კი გადაწყვიტა ჩაეძირა 5 ათასი ტონა წყალწყვის მეწინავე გემი, რომელიც მტრის ჯარისკაცებით იყო გაჭედილი. ოსტატური მანევრით კანანაძე გასროლის დისტანციაზე მიუახლოვდა და ორი ტორპედი ესროლა, გაისმა გამაყრუებელი აფეთქება. ვეებერთელა გემი მყისვე გადაწვა მარცხენა ქიმზე და ჩაიძირა. ასევე ოსტატურად გაუსწორდა მტერს პეტროვიც. მტრის სადარაჯო კატერები იერიშზე გადაეშვნენ საბჭოთა მეზღვაურების წინააღმდეგ. მაგრამ გვიანღა იყო, მათი კვალიც აღარ ჩანდა.

ომის განმავლობაში კანანაძე 151-ჯერ ყოფილა საბრძოლო ლაშქრობაში. მის ანგარიშზე ირიცხება ორი მოსპობილი უდიდესი ტრანსპორტი ჯარებითა და ტვირთით, ორი კარჭაპი, ბევრი გადასხმული სადესანტო ჯარი და მრავალი სხვა გმირობა.

ასე იომბდა ქართველი ხალხის ერთგული შვილი ალექსანდრე კანანაძე. ყოველივე ამისათვის მას 1944 წლის 16 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა და გადასცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი".

* * *

ოთხ წელიწადზე მეტია, რაც დამთავრდა სამამულო ომი, მაგრამ მამაც მეთაურ კანანაძეს ახსოვს, რომ საბჭოთა ადამიანები მუდამ ფხიზლად, მუდამ მზად უნდა იყვნენ ბრძოლისათვის. გმირი ოფიცერი თავის დიდ საბრძოლო გამოცდილებას ხელქვეითებს უზიარებს, ასწავლის მათ მარჯვე სროლის ხელოვნებას. ომის წლებში კანანაძე ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში იყო. იგი ამჟამადაც იმ ოფიცერთა პირველ რიგებშია, რომლებიც უნარიანად ზრდიან თავიანთ ხელქვეითებს. იგი ისეთივე თავმდაბალი დარჩა, როგორიც წინათ იყო და პატიოსნად ასრულებს თავის მხედრულ მოვალეობას ახალ უფრო დიდ თანამდებობაზე.

ბოლშევიკი კანანაძე უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს თანამოსამსახურეთა შორის. შარშან იანვარში კომუნისტებმა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს წევრად აირჩიეს იგი, ხოლო სულ ამ ცოტა ხნის წინათ პირადმა შემადგენლობამ ახალი ნდობა გამოუცხადა მას და სახალხო მსაჯულად აირჩია.

იმ დღეს, როცა ეს სტრიქონები იწერებოდა, ა. კანანაძე მორიგ სასწავლო საბრძოლო დავალებას ასრულებდა. მან, ისევე როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სანიმუშოდ შეასრულა დავალება, ისე, როგორც ამას გვასწავლის ბოლშევიკების პარტია, როგორც გვასწავლის ჩვენი საყვარელი ბელადი დიდი სტალინი.

ი. კრავცოვი

